სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“-ს დირექტორის
2026 წლის 07 სექტემბრის N02-09/44 ბრძანება

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“-ს სატელევიზიო მაუწყებლობისათვის პროდუქციის შესყიდვის მიზნით გამოცხადებული საჯარო კონკურსის პირობები

1. კონკურსი ცხადდება შემდეგი მიმართულებებით:

1.1. <u>სპორტული თოქ-შოუ</u>

პერიოდულობა: კვირაში 5 გადაცემა;
ხანგრძლივობა: 40–45 წუთი.
პროექტი უნდა ითვალისწინებდეს სპორტის სფეროში მიმდინარე მნიშვნელოვანი მოვლენების, პროცესების, სპორტსმენების, გუნდებისა და საზოგადოებისთვის საინტერესო სპორტული თემების განხილვასა და ანალიზს.

<u>1.2. სამედიცინო თოქ-შოუ</u>

პერიოდულობა: კვირაში 5 გადაცემა;
ხანგრძლივობა: 40–45 წუთი.
პროექტი უნდა ემსახურებოდეს ჯანმრთელობის, მედიცინისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საკითხებზე საზოგადოების ინფორმირებას, სანდო და კომპეტენტური ინფორმაციის გავრცელებას და შესაბამისი სპეციალისტების მონაწილეობით აქტუალური საკითხების განხილვას.

1.3. <u>შემეცნებით-გასართობი სატელევიზიო პროექტი</u>
გადაცემების რაოდენობა: გადაცემათა ციკლი, რომელიც შედგება 16 ეპიზოდისგან;
პერიოდულობა: კვირაში 1 გადაცემა;
ხანგრძლივობა: 30–40 წუთი.
პროექტი უნდა აერთიანებდეს შემეცნებით და გასართობ კომპონენტებს, იყოს საინტერესო ფართო აუდიტორიისთვის და ამავდროულად შეესაბამებოდეს საზოგადოებრივი მაუწყებლის მისიას, პროგრამულ პრიორიტეტებსა და საზოგადოებრივ ინტერესს.

1.4. <u>საზოგადოებრივ-სოციალური თემატიკის სატელევიზიო პროექტი</u>
გადაცემების რაოდენობა: გადაცემათა ციკლი, რომელიც შედგება 16 ეპიზოდისგან;
პერიოდულობა: კვირაში 1 გადაცემა;
ხანგრძლივობა: 40–45 წუთი.
პროექტი უნდა მოიცავდეს საზოგადოებისთვის აქტუალურ სოციალურ და საზოგადოებრივ თემებს და შეიძლება აერთიანებდეს დიალოგის, ინტერვიუს, დისკუსიის, სიუჟეტური და დოკუმენტური მასალის, პირადი ისტორიებისა და სხვა აუდიოვიზუალური კომპონენტების გამოყენებას.

პროექტის ფორმატი უნდა უზრუნველყოფდეს აქტუალური საკითხების მრავალმხრივ წარმოჩენას, საზოგადოებრივი ინტერესის მქონე თემების განხილვას და მაყურებლისთვის ინფორმაციული და შინაარსობრივად ღირებული სატელევიზიო პროდუქტის შექმნას.

2. შეფასების კრიტერიუმები

საჯარო კონკურსის ფარგლებში წარმოდგენილი სატელევიზიო გარე წარმოების პროექტები შეფასდეს **ერთ ეტაპად, 100-ქულიანი სისტემით**.

სატელევიზიო პროექტები შეფასდეს შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

2.1. პროექტის კონცეფციის ორიგინალურობა და კრეატიულობა – 15 ქულა

ფასდება პროექტის იდეის სიახლე, შემოქმედებითი მიდგომა, ფორმატის გამორჩეულობა, განვითარების შესაძლებლობა და სატელევიზიო პროდუქტად რეალიზების პოტენციალი.

2.2. პროექტის აქტუალობა და საზოგადოებრივი მნიშვნელობა – 20 ქულა

ფასდება პროექტის თემატიკის აქტუალობა, საზოგადოებრივი ინტერესის ხარისხი, მიზნობრივი აუდიტორიის საჭიროებებთან შესაბამისობა და პროექტის შესაბამისობა საზოგადოებრივი მაუწყებლის მისიასთან და პროგრამულ პრიორიტეტებთან.

2.3. საპილოტე გადაცემის შემოქმედებითი და შინაარსობრივი ხარისხი – 25 ქულა

ფასდება საპილოტე გადაცემის შინაარსობრივი, დრამატურგიული, პუბლიცისტური და/ან შემეცნებითი ღირებულება, პროექტის კონცეფციის ეკრანზე რეალიზების ხარისხი, წამყვანისა და მონაწილეების შესაბამისობა პროექტის ფორმატთან და გადაცემის საერთო შემოქმედებითი გადაწყვეტა.

2.4. საპილოტე გადაცემის ტექნიკური და ვიზუალური ხარისხი – 15 ქულა

ფასდება რეჟისურა, ოპერატორული ნამუშევარი, მონტაჟი, ხმა, ვიზუალური გადაწყვეტა, გრაფიკული ელემენტები და მთლიანად საპილოტე გადაცემის ტექნიკური შესრულების ხარისხი.

2.5. შემოქმედებითი ჯგუფის პროფესიული გამოცდილება – 10 ქულა

ფასდება პროექტში მონაწილე ავტორის, პროდიუსერის, რეჟისორის, წამყვანის, ოპერატორის, მხატვარ-დიზაინერის, მუსიკალური გამფორმებლისა და სხვა შესაბამისი სპეციალისტების პროფესიული გამოცდილება და კვალიფიკაცია.

2.6. პროექტის განხორციელების შესაძლებლობა და ბიუჯეტის დასაბუთებულობა – 15 ქულა

ფასდება პროექტის განხორციელების რეალისტურობა, წარმოების ორგანიზების ხარისხი, საჭირო რესურსების განსაზღვრა, პროექტის განხორციელების ვადების დაცვის შესაძლებლობა და წარმოდგენილი ბიუჯეტის საფუძვლიანობა, დასაბუთებულობა და პროექტის მოცულობასთან შესაბამისობა.

ჯამური მაქსიმალური შეფასება – 100 ქულა.

3. შეფასების წესი

3.1. კომისიის თითოეული წევრი პროექტს აფასებს დამოუკიდებლად, წინამდებარე ოქმით განსაზღვრული კრიტერიუმებისა და ქულობრივი სისტემის შესაბამისად.

3.2. პროექტის საბოლოო შეფასება განისაზღვრება კომისიის წევრების მიერ მინიჭებული ქულების **საშუალო არითმეტიკული მაჩვენებლით**.

3.3. გამარჯვებულად შეიძლება გამოცხადდეს მხოლოდ ის პროექტი, რომელიც შეფასების შედეგად მიიღებს **არანაკლებ 51 ქულას 100-დან** და აკმაყოფილებს კონკურსის სხვა სავალდებულო პირობებს.

3.4. გამარჯვებულად/გამარჯვებულ პროექტებად განისაზღვრება ის პროექტი/პროექტები, რომლებიც დააგროვებენ ყველაზე მაღალ საბოლოო შეფასებას შესაბამის მიმართულებაში.

3.5. კომისიას უფლება აქვს, კონკრეტულ მიმართულებაში გამარჯვებული არ გამოავლინოს, თუ წარმოდგენილი პროექტები ვერ დააკმაყოფილებს დადგენილ მინიმალურ მოთხოვნებს ან ვერ უზრუნველყოფს სათანადო შემოქმედებით, შინაარსობრივ და ხარისხობრივ სტანდარტს.

3.6. თანაბარი საბოლოო შეფასების შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება იმ პროექტს, რომელსაც უფრო მაღალი შეფასება აქვს მიღებული **პროექტის აქტუალობისა და საზოგადოებრივი მნიშვნელობის** კრიტერიუმში.

4.განსაკუთრებული პირობები:

შესყიდული პროდუქცია გადაცემის/მიღების მომენტიდან ხდება მაუწყებლის ექსკლუზიური საკუთრება, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ იქნება გათვალისწინებული. მიმწოდებელი პასუხისმგებელია მის მიერ შექმნილ პროდუქციაში მესამე პირთა საავტორო უფლებების დაცვაზე (მუსიკა, კადრები, შრიფტები). დარღვევის შემთხვევაში, სრული სამართლებრივი და ფინანსური პასუხისმგებლობა ეკისრება მიმწოდებელს.

კონკურსის ფარგლებში წარმოდგენილი პროექტი უნდა შეესაბამებოდეს საზოგადოებრივი მაუწყებლის მისიას, პროგრამულ პრიორიტეტებს, მოქმედ კანონმდებლობასა და მაუწყებლის შესაბამის შიდა რეგულაციებს.

კონკურსის მონაწილე პასუხისმგებელია მის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციისა და მასალების სისწორეზე, სისრულესა და კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე.

5.წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

1. განცხადება (იხ. №1 ფორმა)
2. პროექტის კონცეფცია და ფორმატი;
3. პროექტის დეტალური აღწერა;
4. საპილოტე გადაცემის სცენარი;
5. საპილოტე გადაცემა;
6. პროექტის განხორციელების გეგმა;

7. პროექტის ავტორის (ფიზიკური პირი - იურიდიული პირი) შესახებ ინფორმაცია- CV, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
8. განახლებული ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;
9. შემოქმედებითი ჯგუფის წევრების CV, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლი და წერილობითი თანხმობები პროექტში მონაწილეობაზე (იხ. ფორმა №2);
10. პროექტის ხარჯთაღრიცხვა/ბიუჯეტი. ხარჯთაღრიცხვის ელექტრონული ფორმა ხელმისაწვდომია შემდგომ ბმულზე: https://docs.google.com/spreadsheets/d/16qBgpPlyO95M_z2vWlH0qwrCpUlk10By/edit?pli=1&gid=580590843#gid=580590843 , იხელმძღვანელეთ დანართის სახით წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის შევსების ინსტრუქციით.
11. საკონკურსო განაცხადის განხილვის პროცესში, საჭიროებისამებრ მოთხოვნილი დამატებითი დოკუმენტაცია.

6.კონკურსის ვადა და წარმოდგენის პირობები

საკონკურსო განცხადებები მიიღება 2026 წლის 23 სექტემბრის ჩათვლით.

საკონკურსო განაცხადების წარდგენა წარმოებს ელექტრონული ფორმით, მაუწყებლის ელექტრონულ ფოსტაზე - konkursi@ajaratv.ge ან მატერიალური სახით - მაუწყებლის საქმისწარმოების განყოფილებაში.

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“-ს დირექტორის
2026 წლის 07 სექტემბრის N02-09/44 ბრძანების

ფორმა N1

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“-ს
დირექტორს ბატონ ირაკლი კიკვაძეს

კონკურსანტის სახელი გვარი:----------
პირადი ნომერი:----------
ტელ:----------
ელ.ფოსტა:----------

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

(მაუწყებლის მიერ სატელევიზიო პროდუქციის შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ საჯარო კონკურსში მონაწილეობის შესახებ)

ბატონო ირაკლი,

საკონკურსო დოკუმენტაციას წარმოგიდგენთ დანართის სახით.

პატივისცემით,

ხელმოწერა: თარიღი:

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“-ს დირექტორის 2026 წლის 07 სექტემბრის N02-09/44 ბრძანების

ფორმა N2

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს საკონკურსო კომისიას

პროექტის მონაწილის თანხმობის წერილი

მე, _____ (სახელი, გვარი), პირადი № _____, თანახმა ვარ მონაწილეობა მივიღო _____ [**ჩაწერეთ კონკურსში მონაწილის დასახელება**] მიერ წარდგენილ პროექტში — _____ [**ჩაწერეთ პროექტის დასახელება**].

პროექტის ფარგლებში შევასრულებ [**ჩაწერეთ პოზიცია ცხრილიდან, მაგ. ოპერატორი**]-ს მოვალეობას.

ჩემი შრომის ანაზღაურება (ჰონორარი) პროექტის ბიუჯეტის შესაბამისად შეადგენს _____ [**ჩაწერეთ თანხა შესაბამისი გრაფიდან**] ლარს (კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით).

თანხმობას ვადასტურებ ხელმოწერით.

ხელმოწერა: _____

თარიღი: ----------

ინსტრუქცია

ხარჯთაღრიცხვის (ბიუჯეტის) ექსელის ფაილის შევსების შესახებ

გთხოვთ, პროექტის ფინანსური ნაწილის ფორმირებისას დეტალურად გაეცნოთ და ზუსტად დაიცვათ ქვემოთ მოცემული საგადასახადო, მათემატიკური და საოპერაციო წესები. აღნიშნული პირობების დარღვევა გამოიწვევს ბიუჯეტის ავტომატურ ხარვეზს და პროექტის დისკვალიფიკაციას კონკურსის I ეტაპზე.

1. ბიუჯეტის მასშტაბი და გაანგარიშება

- ხარჯთაღრიცხვის ცხრილი ივსება მკაცრად **პროექტის ერთი ეპიზოდის წარმოების ჭრილში** და არა მთლიანი სეზონის ჯამური ბიუჯეტით.
- **ზედა ჭერი:** ერთი ეპიზოდის საბოლოო ჯამური ბიუჯეტი (პუნქტი 7) არავითარ შემთხვევაში არ უნდა აღემატებოდეს მაუწყებლის მიერ დადგენილ მაქსიმალურ საფასო ლიმიტს.

2. იურიდიული ფორმისა და საგადასახადო სტატუსის არჩევა (მე-3 სტრიქონი, უჯრა C3)

- ფაილის საწყის ნაწილში, **მე-3 სტრიქონის გასწვრივ,** გრაფაში **„სამართლებრივი ფორმა და საგადასახადო სტატუსი“ (უჯრა C3)**, ხელით ტექსტის ჩაწერა შეზღუდულია.
- აპლიკანტი ვალდებულია ჩამოსაშლელი მენიუს (ისრის) მეშვეობით აირჩიოს მისი ოფიციალური იურიდიული ფორმა (შპს, სს, ა(ა)იპ ან ინდ. მეწარმე შესაბამისი საგადასახადო რეჟიმით).
- **მნიშვნელოვანი შეზღუდვა:** მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე პირთა განაცხადები, სადაც გუნდის წევრებზე გაწერილია ჰონორარი, არ განიხილება, ვინაიდან საგადასახადო კოდექსით მათ ეკრძალებათ დაქირავებული შრომის გამოყენება. სსიპ-ების და სახელმწიფო უწყებების მონაწილეობა კონკურსში დაუშვებელია.

3. ერთი ეპიზოდის ქრონომეტრაჟის არჩევა და ხელით დამატება (მე-4 სტრიქონი, უჯრა C4)

- ფაილის საწყის ნაწილში, **მე-4 სტრიქონის გასწვრივ (გრაფა: „ერთი ეპიზოდის ქრონომეტრაჟი“ / უჯრა C4)**, ხელით ტექსტის ჩაწერა შეზღუდულია და აპლიკანტი ვალდებულია ჩამოსაშლელი სიიდან აირჩიოს დრო **(წამი, წუთი, საათი),** ხოლო მისი პროექტისთვის განკუთვნილი ზუსტი საეთერო ქრონომეტრაჟი შესაბამის ველში **(უჯრა C4) ხელით შეიყვანეთ** (მაგ.: 5-7, არანაკლებ 10 და ა.შ.).
- აღნიშნული პარამეტრის შერჩევა სავალდებულოა, ვინაიდან გადაცემის საწარმოო ხარჯები (წარმოების თვითღირებულება წუთობრივ ჭრილში) უნდა შეესაბამებოდეს მაუწყებლის მიერ გამოცხადებულ საკონკურსო პირობებსა და საეთერო ბადის მოთხოვნებს.

4. „ხარჯვის კატეგორია და პოზიციის“ შევსება (ჩამოსაშლელი სია და ხელით დამატება)

- შემოქმედებითი გუნდის შევსებისას, უჯრაზე დაწკაპუნებისთანავე ეკრანზე მკრთალად გამოჩნდება საორიენტაციო მინიშნება.
- აპლიკანტს შეუძლია ისრის მეშვეობით პირდაპირ აირჩიოს უნიფიცირებული პოზიციები (პროდიუსერი, რეჟისორი, ხმის ოპერატორი და ა.შ.).
- **ალტერნატიული ჩანაწერი:** იმ შემთხვევაში, თუ თქვენი შემოქმედებითი გუნდის სპეციფიკური პოზიცია ჩამონათვალში არ არის, სისტემა არ ბლოკავს ბოლო უჯრას – თქვენ გაქვთ უფლება აღნიშნულ გრაფაში სასურველი პოზიციის დასახელება **ხელით შეიყვანოთ**.

5. „ერთეულის“ სვეტის შევსება

- ხარჯთაღრიცხვის ცხრილის შევსებისას, „ერთეულის“ სვეტში ტექსტის ხელით ჩაწერა შეზღუდულია.
- თითოეული საწარმოო მუხლის გასწვრივ აპლიკანტმა ისრის მეშვეობით უნდა აირჩიოს სტანდარტული ერთეულიდან.

6. „შენიშვნა / კომენტარის“ სვეტის სავალდებულო განმარტებები

- შესაბამის უჯრაზე დაწკაპუნებისას ეკრანზე აქტიურდება სპეციალური მინიშნება: ***„მომსახურების შემთხვევაში მიუთითეთ შესაბამისი განმარტება“***.
- აპლიკანტი ვალდებულია კონკრეტული მომსახურების მიღების შემთხვევაში გააკეთოს/დატოვოს დეტალური შინაარსობრივი განმარტება (მაგ.: **აქვს მიკრო /მცირე ბიზნესის სტატუსი**). განმარტების გარეშე დატოვებული ზოგადი მუხლები კომისიის მიერ ჩაითვლება ხარვეზად.

7. მცირე ბიზნესის გადასახადის (1%) ავტომატური გაანგარიშება

- ექსელის ფაილში ინტეგრირებულია ავტომატური ფორმულა, რომელიც მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ინდივიდუალური მეწარმეებისთვის ავტომატურად ითვლის კანონმდებლობით გათვალისწინებულ 1%-იან საგადასახადო განაკვეთს.
- თუ საწყის ველში არჩეულია ნებისმიერი სხვა სამართლებრივი ფორმა (შპს, სს, ა(ა)იპ ან სტანდარტული ი.მ.), აღნიშნული გრაფა ავტომატურად გაბათილდება და დასვამს **0.00** ლარს.
- **მნიშვნელოვანი პირობა:** აღნიშნული 1%-იანი გადასახადი, დღგ-სთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და საწარმოო ხარჯებთან ერთად, შედის გადაცემის საერთო ღირებულებაში. აპლიკანტი ვალდებულია შიდა ხარჯები დააკორექტიროს ისე, რომ ყველა გადასახადის გათვალისწინებით, საბოლოო ჯამური ბიუჯეტი (პუნქტი 7) არ აღემატებოდეს მაუწყებლის მიერ დადგენილ მაქსიმალურ საფასო ზღვარს.

8. დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ 18%) ავტომატური კონტროლი

- ექსელის ფაილში ჩაშენებულია ავტომატური ფორმულა, რომელიც დღგ-ის 18%-ს (პუნქტი 6) ანგარიშობს C3 უჯრაში თქვენ მიერ არჩეული სტატუსის მიხედვით:
  - თუ აირჩევთ სტატუსს, რომელიც შეიცავს სიტყვას **„დღგ-ის გადამხდელი“**, ფორმულა ავტომატურად დაარიცხავს 18%-ს. თქვენი ვალდებულებაა, შიდა საწარმოო ხარჯები დააკორექტიროთ ისე, რომ დღგ-სთან ერთად საბოლოო ჯამი (პუნქტი 7) ჩაეტიოს დადგენილ ლიმიტში.
  - თუ აირჩევთ სტატუსს, სადაც მითითებულია **„დღგ-ის გარეშე“**, ფორმულა ავტომატურად დასვამს **0.00** ლარს.

9. ჰონორარებისა და წარმოების დაბეგვრის წესი

- ხარჯთაღრიცხვაში მითითებული ყველა ფასი (ჰონორარები და ა.შ.) უნდა შეიცავდეს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს (საშემოსავლო გადასახადი და სხვა), გარდა დღგ-ისა.
- საბოლოო ჯამი (პუნქტი 7) მითითებულია კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის ჩათვლით.

10. საავტორო უფლებები და ლოგისტიკური ჩანაშალები

- **საავტორო უფლებები (ბლოკი 2):** მუსიკის, ვიდეომასალებისა და შრიფტების (Fonts) ლეგალური ლიცენზირების ხარჯი სრულად მიმწოდებლის ვალდებულებაა. აღნიშნულ გრაფაში ასახული თანხები უნდა იყოს რეალისტური და თავსებადი მიმდინარე საბაზრო ფასებთან.

11. ადმინისტრაციული და ლოგისტიკური ხარჯები (ბლოკი 3): პოზიცია უნდა მოიცავდეს მხოლოდ ეპიზოდის საწარმოო საჭიროებებისთვის აუცილებელ მიმდინარე ლოგისტიკურ ხარჯებს და მოთხოვნის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს აღნიშნული მუხლის შიდა კომპონენტების დეტალური ჩაშლა.